საქართველოს პარლამენტის ბიუროს
საქართველოს მოქალაქეების:

აკაკი ჩიქობავას (პ/ნ: [redacted]
ანა კამლაძის (პ/ნ: [redacted]
გიორგი ქართველიშვილის (პ/ნ: [redacted]
გიორგი ხასაიას (პ/ნ: [redacted]
ეკატერინე დანელიას (პ/ნ: [redacted]
ვახტანგ ნაცვლიშვილის (პ/ნ: [redacted]
თათია ვერულაშვილის (პ/ნ: [redacted]
ინა ჩარკვიანის (პ/ნ: [redacted]
კონსტანტინე ჩაჩიბაიას (პ/ნ: [redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 123-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის ინიციატივით, „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შესახებ“ კანონპროექტის წარდგენის მიზნით, რეგისტრაციაში გაატაროთ მოქალაქეთა შემდეგი საინიციატივო ჯგუფი:

1. აკაკი ჩიქობავა (პ/ნ: [redacted]), დაბადების თარიღი: [redacted]
   მისამართი: ქალაქი [redacted]
   ტელეფონის ნომერი: [redacted]

2. ანა კამლაძე (პ/ნ: [redacted]), დაბადების თარიღი: [redacted],
   მისამართი: [redacted], ტელეფონის
   ნომერი: [redacted]

3. გიორგი ქართველიშვილი (პ/ნ: [redacted]), დაბადების თარიღი: [redacted],
   მისამართი: [redacted], ტელეფონის
   ნომერი: [redacted]

4. გიორგი ხასაია (პ/ნ: [redacted]), დაბადების თარიღი: [redacted],
   მისამართი: [redacted], ტელეფონის ნომერი: [redacted]

5. ეკატერინე დანელია (პ/ნ: [redacted], დაბადების თარიღი: [redacted]
   მისამართი: ქალაქი [redacted],
   ქ.) ტელეფონის ნომერი: [redacted]

ხელის ანერის წარმოდგენილი (ინიციატორად ხელმოწერილი დამოწმებული ასლებით) თათია ვერულაშვილი

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-4038/26
01 05 2026 წ. ფურცელი 22

6. ვახტანგ ნაცვლიშვილი (პ/ნ[redacted]), დაბადების თარიღი: [redacted]
მისამართი: [redacted],
ტელეფონის ნომერი:[redacted] ვ. ნაცვლიშვილი

7. თათია ვერულაშვილი (პ/ნ: [redacted] დაბადების თარიღი: [redacted]
მისამართი: [redacted], ტელეფონის
ნომერი: [redacted] თ.

8. ინა ჩარკვიანი (პ/ნ: [redacted], დაბადების თარიღი: [redacted],
მისამართი: ქალაქი [redacted]
ტელეფონის ნომერი: [redacted] ი. ჩარკვიანი

9. კონსტანტინე ჩაჩიბაია (პ/ნ: [redacted]), დაბადების თარიღი: [redacted], მისამართი:
ქალაქი [redacted]),
ტელეფონის ნომერი:[redacted]

<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს სანონმდებლო მაცნე, N20, 04.05.2005, მუხ. 143) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-7^1 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7^2 მუხლი:
„მუხლი 7^2. უფასო სასკოლო კვება

1. ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების, მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, მოსწავლეთა შორის ჯანსაღი კვებითი ჩვევების დამკვიდრების მიზნით, სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო სასკოლო კვებას საჯარო სკოლის ყველა მოსწავლისთვის. სასკოლო კვება ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით.
2. სასკოლო კვების პროგრამა უზრუნველყოფს მოსწავლის ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის საჭირო დაბალანსებულ და ჯანსაღ საკვებს.
3. სასკოლო კვების პროგრამის დიზაინი, კვების მოდელი, საკვების რაციონი, პროგრამის მართვისა და საკვების ხარისხის კონტროლის საკითხები, ბიუჯეტი და პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. საჯარო სკოლების გეოგრაფიული მდებარეობისა და ინფრასტრუქტურული მზაობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა საჯარო სკოლაში აამოქმედოს სასკოლო კვების სხვადასხვა მოდელი. სასკოლო კვების ნებმისმიერი მოდელი უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.
4. სახელმწიფო უფლებამოსილია, სასკოლო კვების პროგრამის ფარგლებში გამოიყენოს მხოლოდ ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქცია ან პროგრამის ფარგლებში დააწესოს კვოტა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის.
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭოს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს უფასო სასკოლო კვების პროგრამის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, საქართველოს მთავრობას მიაწოდოს წინადადებები და შენიშვნები უფასო სასკოლო კვების პროგრამის შესახებ.

2. 63^{12}-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 63^{13}-ე მუხლი:

„მუხლი 63^{13}. უფასო სასკოლო კვების ამოქმედებამდე განსახორციელებელი ღონისძიებები

საქართველოს მთავრობამ:

ა) 2027 წლის 1 იანვრამდე მიიღოს სასკოლო კვების პროგრამის დიზაინის, კვების მოდელის, საკვების რაციონის, პროგრამის მართვისა და საკვების ხარისხის კონტროლის საკითხების, ბიუჯეტისა და პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების წესის განმსაზღვრელი დადგენილება.
ბ) 2026 წლის 15 სექტემბრამდე შეარჩიოს საჯარო სკოლები, რომლებშიც ამავე თარიღიდან დაიწყებს უფასო სასკოლო კვების საპილოტო პროექტებს. საპილოტე პროექტები შემუშავებული უნდა იყოს იმგვარად, რომ სასკოლო კვების პროგრამა უზრუნველყოფდეს მოსწავლის ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის საჭირო დაბალანსებულ და ჯანსაღ საკვებს.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე

"ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოში სკოლის მოსწავლეების 63 პროცენტი ამბობს, რომ სკოლაში *ყოველდღე, კვირაში რამდენჯერმე* ან *ზოგჯერ* განიცდის შიმშილის გრძნობას (PIRLS, 2021). საქართველოს საჯარო სკოლები არ არის ბავშვთა შიმშილის ექსკლუზიური ადგილი და ის ირეკლავს სტრუქტურულ უთანასწორობას, შრომისა და ცხოვრების პრეკარულ გარემოს, რომელიც ათიათასობით ქართულ ოჯახს ეხება. 2025 წლის მონაცემებით, საქართველოში 16 წლამდე ასაკის 250 772 ბავშვი იღებს საარსებო შემწეობას (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2025). ეს მონაცემი წლიდან წლამდე მზარდია. მაგალითად, 2023 წელს ასეთ დახმარებას 230 865 ბავშვი იღებდა (პუბლიკა, 2023). ეს მონაცემები მოწმობს, რომ არათუ სკოლაში, ბავშვის სახლში გამოკვებაც დაუძლეველი ამოცანაა ასიათასობით ოჯახისთვის.

სამეცნიერო წრეებში არ დავობენ, რომ კვების უკმარისობა ბავშვებში აქვეითებს გონებრივ უნარებს, მეხსიერებას და გრძელვადიან განვითარებას, რაც ამცირებს აკადემიურ მოსწრებას და მოსწავლეებს შორის უთანასწორობას იწვევს; მშიერ ან ცუდად გამოკვებილ ბავშვს უჭირს მოსმენა, კონცენტრირება და სწავლა – შიმშილი ნეგატიურად ზემოქმედებს ყურადღებასა და შეცნობის უნარზე; ბავშვების შიმშილმა შეიძლება მთლიანად სასწავლო პროცესი და სასწავლო გარემო დააზიანოს (Canbolat & Rutkovkski, 2024; Dunaev & Corona, 2019; Adelman et al., 2019; Snilstveit et al., 2015; Kazianga et al., 2014). ამას გარდა, საკვების დეფიციტი ბავშვებში ხშირად იწვევს კვებით აშლილობებსა და ჭარბწონიანობას (GCNF, 2024: 10).

მოძრაობა ხმის ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს სკოლებში მოსწავლეთა შიმშილი ზოგადი და საყოველთაო პრობლემაა. კვლევის მონაწილე თითქმის ყველა (27) მასწავლებელი იხსენებს ან საკუთარ, ან კოლეგის გამოცდილებას, როდესაც სკოლაში მოსწავლე შიმშილისგან ცუდად გახდა. მასწავლებელთა თქმით, მოსწავლეთა საკვების დეფიციტი მნიშვნელოვანი გამოწვევაა მთლიანი სასწავლო პროცესისთვის და მოსწავლეებში კონცენტრაციის ნაკლებობის, დაჩაგვრის და უხერხულობის საფუძველია. მასწავლებელთა ხედვით, მოსწავლეთა შიმშილი და მისი თანმდევი შედეგები მკაფიოდ ხილვადი და რთული პრობლემაა, რაც სისტემურ გადაწყვეტას საჭიროებს (მოძრაობა ხმა, 2022a).

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

იმის მიუხედავად, რომ 2021-დან 2024 წლამდე მონაკვეთში საქართველომ ორჯერ აჩვენა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, 2024 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით 6.5 პროცენტით გაიზარდა. ეს უთანასწორო განვითარების კარგი ილუსტრაციაა. ეკონომიკის ზრდის შესახებ ინფორმაცია ეკონომიკის საერთო ზრდის შესახებ გვაძლევს ცნობას, მაგრამ არა სიმდიდრისა და შემოსავლების გადანაწილების შესახებ. ეკონომიკური ზრდა ფიქსირდება იმ შემთხვევაშიც, როცა იზრდება ადამიანთა მცირე ჯგუფის შემოსავლები და სიმდიდრე. თუმცა, თუ ე.წ. ჯინის ინდექსით, ანუ უთანასწორობის ყველაზე გავრცელებული საზომით ვიხელმძღვანელებთ, აღმოჩნდება, რომ 2006-დან 2023 წლის ჩათვლით ჯინის ინდექსი საქართველოში საგრძნობლად არ შეცვლილა, ანუ არ შეცვლილა უთანასწორობა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო სტაბილურად უთანასწოროდ ვითარდება.

გადანაწილების და, ზოგადად, გადანაწილების ინსტიტუციონალიზაციის თვალსაზრისით, საქართველო ვარდების რევოლუციის შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკის სრული მემკვიდრე და გაგრძელებაა. იმ პირობებში, როცა ქვეყანას არ აქვს პროგრესიული გადასახადი, უმუშევრობის დაზღვევა ან მინიმალური ხელფასის რეალური სტანდარტი, უფასო სასკოლო კვებას შეუძლია სოციალური დაცულობის და, მეტიც, გადანაწილების რეალური ფუნქცია შეასრულოს და მყარ საფუძვლად იქცეს შემდგომი პროგრესული სოციალური ცვლილებებისთვის. უფასო სასკოლო კვების პროგრამები განსაკუთრებით აქტიურად ბოლო წლებში ინერგებოდა სხვადასხვა ქვეყანაში და ახლა სოციალური დაცვის ყველაზე უფრო გავრცელებული მექანიზმია მთელ მსოფლიოში (WFP, 2020). სასკოლო კვება განვითარებად ქვეყნებში სწავლის ხარისხის გაუმჯობესების სამ ყველაზე ეფექტურ მექანიზმს შორის არის დასახელებული (Bashir et al., 2018).

ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, რომ უფასო სასკოლო კვების პროგრამა იყოს უნივერსალური და არა – მიზნობრივი. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

<u>მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ლიმიტები.</u> მიზნობრივი სოციალური დახმარება, რაგინდ ფართო მოცვა ქონდეს, ვერასდროს ფარავს ყველას, ვისაც დახმარება ჭირდება (European Commission, 2025: 16). მაგალითად, 2019 წლის მონაცემებით, საქართველოში საარსებო შემწეობის პროგრამა ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ბავშვების მხოლოდ 37 პროცენტს მოიცავდა (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2019); დანარჩენს სოციალურად დაუცველის სტატუსი არ ჰქონდა და, შესაბამისად, არ იღებდა სოციალურ დახმარებას. გაეროს ბავშვთა ფონდის ახალი კვლევის მიხედვით, ბავშვების თითქმის 38 პროცენტს 16 საჭიროებიდან აქვს 3-ის ან მეტის დანაკლისი. მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვების თითქმის ნახევარი (47%) არ იღებს დახმარებას სოციალური პროგრამიდან, რადგან, სავარაუდოდ, აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ზემოთ იმყოფებიან (ამირანაშვილი და ღირდალაძე, 2023). ამდენად, უფასო სასკოლო

კვების სოციალური დახმარების პროგრამის მონაწილე ბავშვებზე მიბმამ შესაძლოა, სკოლაში საკვების გარეშე დატოვოს ათიათასობით მოსწავლე.

<u>არაფორმალური დასაქმება და პრეკარულობა.</u> საქართველოში მნიშვნელოვნად მაღალია ჩრდილოვანი ეკონომიკისა და არაფორმალური დასაქმების წილი და სახელმწიფო ვერ აგროვებს ზუსტ მონაცემებს ოჯახების შემოსავლების შესახებ. ამდენად, უფასო სასკოლო კვების ოჯახების კონკრეტულ შემოსავალზე მიბმა ვერ დააკმაყოფილებს თანასწორობისა და სამართლიანობის საბაზისო პრინციპსაც კი. მეორე მხრივ, საქართველოს შრომითი ბაზარი შემოსავლების არასტაბილურობით ხასიათდება. ჩვენთან არ მოქმედებს უმუშევრობის დაზღვევის ან უმუშევრობის დახმარების სისტემა, რომელიც, სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში, ხელფასს ნაწილობრივ მაინც ჩაანაცვლებდა. ამდენად, ბავშვი, რომელიც, მიზნობრივი პროგრამის ლოგიკით, გუშინ არ "საჭიროებდა" უფასო კვებას სკოლაში, შეიძლება ასეთს "საჭიროებდეს" ხვალ, როცა მისი მშობელი ან მეურვე სამსახურს დაკარგავს და შემოსავლის გარეშე დარჩება. ამის ცხადი მაგალითია 2025 წელს ჭიათურაში განვითარებული მოვლენები, როცა უმუშევრად დარჩენილი 3620 მაღაროელის ოჯახი საკვების და წამლის გარეშე დარჩა. ორი თვის წინ ჭიათურელ მოსწავლეებს „არ ჭირდებოდათ" უფასო სასკოლო კვება, დღეს – მძაფრად ჭირდებათ.

<u>კერძო და საჯარო სკოლები</u>. 2022-2023 სასწავლო წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 2086 საჯარო და 216 კერძო სკოლა. კერძო სკოლის საშუალო წლიური ფასი 6500 ლარია. საჯარო სკოლებთან შედარებით, მოთხოვნა კერძო სკოლებზე მზარდია. 2021-2022 სასწავლო წელთან შედარებით, 2023 წელს კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა წლიურად 6 პროცენტით გაიზარდა და თითქმის 64 ათასს მიაღწია (კაცია და სხვები, 2023). ამის მიზეზად ასახელებენ კერძო სკოლებში უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობას. შეიძლება, ითქვას, რომ საქართველოში ოჯახები საჯაროს კერძო სკოლას არჩევენ ამისთვის საჭირო მინიმალური ფინანსური შესაძლებლობის არსებობის დროსაც კი. ამდენად, არგუმენტი, რომ საჯარო სკოლებში საყოველთაო უფასო კვების დანერგვის შემთხვევაში, სახელმწიფოს ისეთ ბავშვებსაც დაეხმარება, ვისაც ამის საჭიროება არ აქვს, ადვილად ბათილდება.

<u>გადანაწილების პარადოქსი.</u> გადანაწილების პარადოქსი ეწოდება ფენომენს, რომლის მიხედვითაც მიზნობრივი სოციალური პოლიტიკა, რომელიც იდეოლოგიური მოსაზრებებით თითქოსდა უფრო ეფექტური უნდა იყოს, სინამდვილეში ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე უნივერსალური პროგრამები. გადანაწილების პარადოქსი ამბობს, რომ რაც უფრო მიზნობრივია ღარიბების დახმარება, მით ნაკლებია სიღარიბის და უთანასწორობის შემცირების შანსი. ამას თავისი მიზეზები აქვს: ადმინისტრაციული ხარჯები- მიზნობრივი პროგრამები (მასვე მიეკუთვნება, მაგალითად, ვაუჩერები მხოლოდ დაბალშემოსავლიანებზე), საჭიროებენ საყოველთაოზე ბევრად მეტ ადმინისტრაციულ და ფინანსურ დანახარჯს. სხვა სიტყვებით, მიზნობრივი პროგრამის შემთხვევაში, საჭიროა, იმ ოჯახების იდენტიფიცირება, გამორჩევა და აღნუსხვა, რომლებიც აკმაყოფილებენ მიზნობრივ პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმებს; რასაც, როგორც წესი, თან

სდევს მონიტორინგი და პერიოდული შემოწმება, რომლითაც დგინდება, ისევ აკმაყოფილებს თუ არა პროგრამით მოსარგებლე მონაწილეობის კრიტერიუმებს; ხშირია პირველადი გადაწყვეტილებების გასაჩივება და მათი განხილვა ზემდგომი უწყებების ან სასამართლოების მიერ. ეს პროცესი მოითხოვს სხვადასხვა ტიპის გაზრდილ ფინანსურ დანახარჯს, რაც პროგრამის საერთო დანახარჯზე მსჯელობისას მხედველობიდან გამოტოვებულია. ამის საწინააღმდეგოდ, უნივერსალური პროგრამის უპირატესობა ის არის, რომ მთელი რესურსი დაიხარჯება ბავშვების გამოკვებაზე და არა შერჩევის, აღნუსხვის და გადამოწმების პროცესზე. ნაკლებ ადმინისტრაციულ ხარჯთან ერთად, უნივერსალური უფასო სასკოლო კვების პროგრამა გააძლიერებს სოციალურ სილიდარობას და ხელს შეუწყობს თანასწორი გარემოს ორგანიზებას სკოლაში - უფასო სასკოლო კვებას ბავშვები და მთელი საზოგადოება აღიქვამს საზიარო სიკეთედ და არა სახელდობრ ღარიბების დახმარებად.

<u>სტიგმა.</u> უფასო სასკოლო კვების მიზნობრივი პროგრამებს თან ახლავთ სტიგმა, რაც ხშირად იწვევს იმას, რომ ზოგიერთი ბავშვი უარს ამბობს საკვებზე. *მოძრაობა ხმის* ჩატარებული მასწავლებელთა კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ სკოლებში არსებული კვებითი გამოცდილებები განსხვავდება რეგიონების, სკოლების და მათი ინფრასტრუქტურის მიხედვით. კვლევის მიხედვით, რომ გავრცელებული პრაქტიკაა სკოლაში ფულის ან საკვების ტარება; პედაგოგთა თქმით, ორივე შემთხვევაში ძალიან თვალხილულია, რომ ბევრ მოსწავლეს ვერც ერთი მოაქვს და ვერც – მეორე; ან მოაქვს ისეთი საკვები, რომლის ჭამაც რცხვენია. უხერხულობა იქმნება იმ შემთხვევებში, როდესაც მოსწავლეებს არაერთგვაროვანი საკვები მოაქვთ (მოძრაობა ხმა, 2022a).

არსებობს მოსაზრება, რომ უფასო სასკოლო კვება არ უნდა დაიწყოს მანამ, სანამ საჯარო სკოლებს საკვების ადგილზე დამზადების ინფრასტრუქტურა არ ექნებათ. ეს მოსაზრება სასკოლო კვების არდაწყების საბაბია, რადგან ინფრასტრუქტურის სრულ განახლებას წლები, შესაძლოა, ათწლეული დასჭირდეს; კვლევის მიხედვით, საჯარო სკოლების სრულ განახლებას მილიარდ 600 მლნ ლარი ჭირდება (Svanidze, 2021). საბაბია, მათ შორის, იმიტომ, რომ შესაძლებელია საქართველოს სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა მოდელით დაიწყოს მოსწავლეების გამოკვება:

- სკოლებში, სადაც არსებობს ფუნქციური ბუფეტი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საკვები უნდა დამზადდეს ადგილზე;
- სკოლებში, სადაც არ არის ფუნქციური ბუფეტი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, უნდა მივიდეს გამზადებული საკვები ე.წ. სადილის ყუთის სახით.

სასკოლო კვების საკითხი ზოგადი განათლებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის არის, რის გამოც, "ზოგადი განათლების შესახებ" კანონით უნდა მოწესრიგდეს. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ რომ შესაძლებელი გახდება, კანონის საფუძველზე მიღებული მთავრობის

დადგენილებით საკითხის დეტალური შინაარსობრივი, ტექნიკური და პროცედურული მხარის დარეგულირება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას, საჯარო სკოლებში დაიწყოს საყოველთაო უფასო სასკოლო კვების პროგრამა, რომელსაც, თავის მხრივ, აქვს პოტენციალი მოიტანოს მრავალი საჯარო სიკეთე, მათ შორის, მოსწავლეთა ჯანმრთელობის და სოციალური უსაფრთხოების დაცვა, მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლება, მოსწავლეთა შორის უთანასწორობის შემცირება, ოჯახებისთვის ეკონომიკური ტვირთის შემსუბუქება, მოსწავლეთა შორის კვებითი ჩვევების გაუმჯობესება (European Commission, 2025; GCNF, 2024). ასევე, გამოცდილება აჩვენებს, რომ უფასო სასკოლო კვება ზრდის მოსწავლეთა სკოლაში დასწრების მაჩვენებელს და ამცირებს სკოლის მიტოვების შემთხვევებს (Verguet at al., 2020). საქართველოში, განათლების სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2022-2023 სასწავლო წელს სკოლის მიღმა 4362 ბავშვი იყო დარჩენილი, რის მიზეზებზეც სახელმწიფო ორგანოები ინფორმაციას არ ფლობდნენ (IPN, 2022). უფასო სასკოლო კვებას შეუძლია, ასეთი ბავშვები სკოლაში მოიყვანოს (European Commission, 2025).

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი უფასო სასკოლო კვების პროგრამის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს:

<u>საყოველთაობა და პროგრამის მიზანი</u>. კანონპროექტის მიხედვით, უფასო სასკოლო კვების პროგრამა საყოველთაო უნდა იყოს და საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე უნდა მოიცვას, განურჩევლად ეკონომიკური მდგომარეობისა. სასკოლო კვების მიზანი, კანონპროექტის მიხედვით, არის ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, მოსწავლეთა ჯანმრთელობის და სოციალური დაცვა და მოსწავლეთა შორის ჯანსაღი კვებითი ჩვევების დამკვიდრება (მე-7[2] მუხლის 1-ლი პუნქტის 1-ლი წინადადება).

<u>სახელმწიფო დაფინანსება.</u> კანონპროექტის მიხედვით, უფასო სასკოლო კვების პროგრამა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით უნდა დაფინანსდეს (მე-7[2] მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე წინადადება).

<u>ჯანსაღი საკვები.</u> კანონპროექტის მიხედვით, უფასო სასკოლო კვების პროგრამით გათვალისწინებული საკვები შესაბამისი ასაკის მოსწავლის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას უნდა უზრუნველყოფდეს და დაბალანსებული და ჯანსაღი უნდა იყოს. ეს ჩანაწერი სახელმწიფოს, ერთი მხრივ, ავალდებულებს, მტკიცებულებებზე დაყრდნობით განსაზღვროს მოსწავლისთვის საჭირო ულუფა. მეორე მხრივ, ეს პრინციპი სასკოლო საზოგადოებისთვის წარმოადგენს მოთხოვნის სტანდარტს – თუ საკვები დაბალანსებული და/ან ჯანსაღი არ არის, სასკოლო საზოგადოებას

შეუძლია, პროგრამის ავტორებსა და განმახორციელებლებს სტანდარტის დაცვა მოთხოვოს (მე-7[2] მუხლის მე-2 პუნქტი).

<u>სამთავრობო რეგულირება.</u> კანონპროექტი საქართველოს მთავრობას ავალებს, შეიმუშაოს და მიიღოს ნორმატიული აქტი უფასო სასკოლო კვების შესახებ, რომლითაც განსაზღვრავს პროგრამის დიზაინს, კვების მოდელს, საკვების რაციონს, პროგრამის მართვისა და საკვების ხარისხის კონტროლის საკითხებს, ბიუჯეტსა და პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების წესებს. კანონპროექტი არ ჩამოთვლის პროგრამის განმახორციელებლ უწყებებს და ღიად ტოვებს საკითხს იმის შესახებ, სასკოლო კვების პროგრამებს ადგილობრივი თვითმმართველობები განახორციელებენ (დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე) თუ ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები (მე-7[2] მუხლის მე-3 პუნქტის 1-ლი წინადადება).

<u>სასკოლო კვების მოდელი.</u> კანონპროექტი არ განსაზღვრავს სასკოლო კვების მოდელს და ღიად ტოვებს საკითხს იმის შესახებ, სკოლაში საკვები გამზადებული უნდა მივიდეს ე.წ. საკვების ყუთის სახით თუ საკვები სკოლაში ადგილზე უნდა დამზადდეს, როგორც ეს საქართველოს საბავშვო ბაღების შემთხვევაში ხდება. კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს მთავრობას ენიჭება დისკრეცია, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული მზაობისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით სხვადასხვა სკოლაში სასკოლო კვების სხვადასხვა მოდელი აამუშაოს. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლებში სადაც არსებობს შესაბამისი სანიტარული პირობები და ფუნქციური სამზარეულო, შესაძლებელია, საკვები ადგილზე დამზადდეს; სადაც ეს შეუძლია - საკვები გამზადებული, საკვების ყუთის ფორმით მივიდეს. კანონპროექტის მიხედვით, ნებისმიერ შემთხვევაში, საკვები უნდა იყოს ჯანსაღი და დაბალანსებული და ბავშვის გონებრივი და ფიზიკური განვითარების მოთხოვნების შესაბამისი (მე-7[2] მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადება).

<u>ადგილობრივი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა.</u> კანონპროექტი საქართველოს მთავრობას აძლევს დისკრეციას, სასკოლო კვების პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტი მიანიჭოს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციას (მე-7[2] მუხლის მე-4 პუნქტი). საჯარო სკოლებში უფასო სასკოლო კვების პოლიტიკას აქვს პოტენციალი, გახდეს სოფლის მეურნეობის განვითარების რეალური ბერკეტი, თუ ის მაქსიმალურად იქნება მიბმული ადგილობრივ წარმოებაზე. ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარება, და საკვების მოხმარებისა და წარმოების ბალანსში დეფიციტების აღმოფხვრა აუცილებელია იმისთვის, რომ საქართველო სურსათით დამოუკიდებელი ქვეყანა გახდეს, ანუ ადგილობრივ წარმოებას შეეძლოს, საკვების ადგილობრივი მოთხოვნის მნიშვნელოვანი წილის დაკმაყოფილება და მოსახლეობა მეტად იყოს დაცული სასურსათო ხარჯების ზრდისაგან და სასურსათო პროდუქტების კრიზისებისგან.

სასურსათო დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ აღიარებული საზომი მარცვლეულს უკავშირდება. 2022 წელს საქართველოს ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 22 პროცენტი იყო (საქართველოს

სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023a). 2022 წელს რუსეთის შეჭრამ უკრაინაში კიდევ ერთხელ გამოკვეთა სასურსათო დამოუკიდებლობის პრობლემა და მკაფიოდ დააყენა საკვების, როგორც ეროვნული უსაფრთხოების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ საკვების საერთაშორისო ფასები სტაბილურად იზრდებოდა 2022 წლამდეც, უკრაინის ომის შედეგად შექმნილმა კრიზისებმა სურსათის საერთაშორისო ფასების მკვეთრი მატება გამოიწვია, რაც განსაკუთრებით აზარალებს საქართველოსნაირ ქვეყნებს, რომლებიც მეტად არიან დამოკიდებულები საკვები პროდუქტების იმპორტზე.

<u>დემოკრატიული მონაწილეობა.</u> კანონპროექტი ითვალისწინებს უფასო სასკოლო კვების შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესში სასკოლო საზოგადოების დემოკრატიულ მონაწილეობას. დემოკრატიული მონაწილეობის უჯრედად შერჩეულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭოები, რომლებიც მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს აერთიანებს – მათ, ვინც ყველაზე მეტად უნდა იყოს დაინტერესებული ხარისხიანი უფასო სასკოლო კვებით. კანონპროექტის მიხედვით, სამეურვეო საბჭოებს უფლება აქვთ, საქართველოს მთავრობას მიმართონ წინადადებებითა და შენიშვნებით უფასო სასკოლო კვების პროგრამის შესახებ (მე-7^2 მუხლის მე-5 პუნქტი).

<u>საპილოტო პროექტები.</u> კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ მანამ, სანამ ეროვნული დონეზე დაიწყებს პროგრამას, საპილოტო რეჟიმში უნდა დაიწყოს უფასო სასკოლო კვების პროექტები. ეს მას საშუალებას მისცემს, დატესტოს სხვადასხვა მიდგომა და განსაზღვროს, რომელი მიდგომა უკეთ მოემსახურება სასკოლო კვების მიზნებს (მე-63^{13} მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი არ არის ინიციირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

საკანონმდებლო ცვლილებით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტის შემუშავების და საპილოტე პროექტის დაწყების მავალებელი ნორმები ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე. კანონპროექტით გათვალისწინებული ძირითადი ცვლილებები ძალაში შევა 2027 წლის 1-ლი იანვრიდან. ეს თარიღი შეირჩა იმ განზრახვით, რომ კანონის მიღების შემდეგ სახელმწიფო და/ან მუნიციპალურ ორგანოებს ჰქონდეთ საკმარისი დრო უფასო სასკოლო კვების დასაწყებად.

კანონპროექტს არ ენიჭება უკუძალა.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიხედვით, პროგრამასთან დაკავშირებული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტით უნდა დაფინანსდეს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

საკუთრივ კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს მყისიერი ხარჯების საჭიროებას. დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა შეარჩევს სასკოლო კვების მოდელს და განსაზღვრავს პროგრამის ბიუჯეტს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა ვალდებული იქნება, მოამზადოს და მიიღოს დადგენილება, რომლითაც, სხვა საკითხებს შორის, განსაზღვრავს პროგრამის დიზაინს, სასკოლო კვების მოდელსა და საკვების რაციონს, რასთანაც პირდაპირ იქნება დაკავშირებული პროგრამის ბიუჯეტი. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი დაითვალოს და განისაზღვროს ახალ ფინანსურ ვალდებულებათა მოცულობა.

იმის დამოუკიდებლად გამოანგარიშებას, ზუსტად რა ეღირება უფასო სასკოლო კვება, ართულებს ის, რომ პროგრამის ბიუჯეტის მოდელირებისთვის საჭირო ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. ცნობილია, რომ საქართველოში საჯარო სკოლების 75%-ს არ აქვს ფუნქციური ბუფეტი, ხოლო სკოლების 4%-ს უწყვეტად არ მიეწოდება წყალი (CTC, 2021). ამის მიუხედავად, უცნობია, რამდენი საჯარო სკოლაა მზად იმისთვის, რომ საკვები სკოლის სამზარეულოში დაამზადოს - ისე, როგორც საჯარო ბაღების შემთხვევაში ხდება. უცნობია ისიც, რა ეღირება გამზადებული საკვების სკოლამდე მიტანა, რადგან არ არსებობს ოფიციალური

მონაცემები საჯარო სკოლების ადმინისტრაციული ცენტრებიდან დაშორებისა შესახებ, რაც საკვების ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯების მოდელირების საშუალებას მოგვცემდა.

ამ შეზღუდვების მიუხედავად, 2022 წელს *მოძრაობა ხმამ* მოამზადა უფასო სასკოლო კვების საორიენტაციო ბიუჯეტი. მოძრაობა დაეყრდნო გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ სპეციალურად საქართველოს სკოლებისთვის მომზადებულ სასკოლო კვების სანიმუშო მენიუს, რაც მოსწავლისთვის ყოველდღიურ, ერთჯერად, ჯანსაღ კვებას ითვალისწინებს (CTC, 2021: 30-44). ამ მენიუს განფასებისთვის, საჯარო ინფორმაციის ფორმით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოვითხოვეთ მონაცემები 2022 წლის სექტემბრის თვეში საკვებ პროდუქტებზე საშუალო საბაზრო საცალო ფასების შესახებ. მიღებული მონაცემები გამოვიყენეთ ერთ მოსწავლეზე გათვლილი ულუფის ხარჯის დასადგენად. ამ მეთოდით დავიანგარიშეთ, რა იქნება სასკოლო საკვების საორიენტაციო ბიუჯეტი უშუალოდ საკვებზე (ტრანსპორტირების, შენახვის და დამზადების გარეშე). იმისთვის, რომ საკვებთან ერთად სხვა ხარჯებზეც გვქონოდა წარმოდგენა, გამოვიყენეთ ბავშვთა კვების გლობალური ფონდის გაანგარიშება იმის შესახებ, საქართველოს მსგავსი შემოსავლის მქონე ქვეყნებში უფასო სასკოლო კვების მთლიანი ბიუჯეტის რა წილი მოდის საკვებზე, მის ტრანსპორტირებასა და შენახვაზე და სხვა მხარდამჭერ პროცესებზე.

ამ მეთოდით, ჩვენ დავიანგარიშეთ, რა იქნება უფასო სასკოლო კვების სრული საორიენტაციო ბიუჯეტი. დადგინდა, რომ 545 270 მოსწავლისთვის განკუთვნილი ერთჯერადი კვება ბიუჯეტს 2022 წლის სექტემბერში 198 მილიონი ლარი დაუჯდებოდა (ვრცლად იხ. მოძრაობა ხმა, 2022b).

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ზუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლისა და ოჯახების ეკონომიკური სირთულეების პირობებში, ყოველდღიური სასკოლო კვება ბევრი ოჯახისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს. სახელმწიფოს მიერ უფასო კვების უზრუნველყოფა დაეხმარება ოჯახებს, ფინანსური რესურსები სხვა მნიშვნელოვან საჭიროებებზე (მაგ. ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა) მიმართონ. უფასო სასკოლო კვება პირდაპირი მხარდაჭერაა შინამეურნეობებისთვის, რადგან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, საშუალოდ, საკვებზე, სასმელზე და თამბაქოზე საერთო დანახარჯი შინამეურნეობის მთლიანი საშუალო ხარჯის დაახლოებით 28 პროცენტია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023b).

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ასეთი არ არსებობს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის საპარლამენტო ანგარიშის მიხედვით, ბავშვთა შესაძლო უფლებადარღვევის შესწავლილი საქმეებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სიღარიბესა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ეხება. ანგარიშში მოცემული მონაცემების მიხედვით, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა თითქმის 370 ათასია, აქედან საარსებო შემწეობას 270 712 ბავშვი იღებს; 2024 წელს ბაზაში პირველად დარეგისტრირდა თითქმის 35 ათასი 18 წლამდე ასაკის ბავშვი (სახალხო დამცველი, 2024: 330-331). 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახალხო დამცველი წერდა, რომ ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მწვავედ დგას სკოლებში მოსწავლეთა უფასო კვების საკითხი და რომ მნიშვნელოვანია, პროცესი დროულად და ეფექტიანად წარიმართოს (სახალხო დამცველი, 2023: 324).

ბავშვის საკვებზე ხელმისაწვდომობის უფლება არ არის ცალკეული, სხვა უფლებებისგან იზოლირებული უფლება - მის დარღვევას არსებითი გავლენა აქვს ბავშვის უფლებათა ფართო სპექტრზე. სამეცნიერო მტკიცებულებებით დასტურდება, რომ საკვების დეფიციტი იწვევს ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხებას, აუარესებს აკადემიურ მოსწრებას (WFP, 2020). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, ღარიბ და ეკონომიკურად შეძლებული ოჯახების მოსწავლეებს შორის სკოლის დასრულების მაჩვენებლებლებს შორის განსხვავება 43-დან 88%-მდე მერყეობს (საქართველოს მთავრობა, 2022). საქართველოში მოსწავლეთა მიღწევებზე გავლენის მქონე ფაქტორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სოციოეკონომიკური სტატუსია (CTC, 2021).

სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ყოველთვიური 200-ლარიანი დახმარება, ერთი მხრივ, საკმარისი არ არის ბავშვის მინიმალურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. მეორე მხრივ, სახელმწიფომ არც ის იცის, როგორ ანაწილებს ისედაც შეჭირვებული ოჯახი ამ დახმარებას იმ პირობებში, როდესაც ბავშვს ერთდროულად ჭირდება სამედიცინო ზრუნვაც, გამოკვებაც, თბილი ტანსაცმელიც, განათლებაც და გართობაც. ეს დახმარება საკმარისიც რომ იყოს, არსებული მონაცემებით, საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია 99 212 ისეთი ბავშვი, რომელიც არ იღებს საარსებო შემწეობას (სახალხო დამცველი, 2024: 330).

კანონპროექტის გავლენაზე ბავშვთა უფლებების სფეროზე იხ. ამავე განმარტებითი ბარათის (ა.ა.ა), (ა.ა.ბ), (ა.ბ) და, განსაკუთრებით, (გ.გ) პუნქტები.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ ექნება გავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღებას პირდაპირ და უშუალოდ საქართველოს არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება არ ავალდებულებს. თუმცა მისი მიღება შეესაბამება საქართველოს იმ ვალდებულებებს, რომლებიც სხვადასხვა კონვენციით, ქარტიით და პაქტით აქვს აღებული:

<u>ბავშვის უფლებათა კონვენცია</u>. საქართველო გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას 1994 წელს შეუერთდა. კონვენცია იცავს ბავშვის უფლებას, ხელი მიუწვდებოდეს კალორიულად დაბალანსებულ და ჯანსაღ საკვებზე. კონვენციის 24-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფომ აუცილებელი ზომები უნდა მიიღოს ბავშვთა „შიმშილობასთან ბრძოლისთვის [...] საკმაო სურსათითა და სასმელი წყლით მომარაგების გზით". ასევე, კონვენციის 27-ე მუხლი ამბობს, სახელმწიფომ უნდა აღიაროს ბავშვის უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც „აუცილებელია ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისთვის." ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, მთავრობამ, „ეროვნული პირობების შესაბამისად და თავისი შესაძლებლობების ფარგებში, აუცილებელი ზომები უნდა მიიღოს, რათა დახმარება გაუწიოს მშობლებსა და ბავშვებს [...] უწინარესად საკვებით" (პროგრესიული რეალიზების პრინციპი). გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელიც კონვენციის განხორციელების საზედამხვედველო და კონვენციით დაცულ უფლებათა შინაარსის დამდგენი მთავარი უწყებაა, თავის ე.წ. ზოგად კომენტარების 46-ე

პარაგრაფში მიუთითებს, რომ „სასკოლო კვება სასურველია იმისთვის, რომ ყოველდღიურად უზრუნველყოფილი იყოს ყველა მოსწავლის ხელმისაწვდომობა სრულყოფილ საჭმელზე, რასაც შეუძლია, გააუმჯობესოს მოსწავლეთა სწავლაზე ფოკუსირება და გაზარდოს მოსწავლეთა დასწრება სკოლაში" (UN Committee on the Rights of the Child, 2013). ამდენად, უფასო სასკოლო კვება სრულად შეესაბამება ბავშვის უფლებათა კონვენციის მოთხოვნებს.

<u>ევროპის სოციალური ქარტია.</u> საქართველოს რატიფიცირებული აქვს და სავალდებულოდ აღიარებს ევროპის სოციალური ქარტიის მე-12 მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტებს, რომელთა მიხედვით სოციალური უსაფრთხოების უფლების დაცვის მიზნით სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, „შექმნას, შეინარჩუნოს და ეტაპობრივად გააუმჯობესოს" სოციალური დაცვის სისტემა. უფასო სასკოლო კვება სწორედ სოციალური უსაფრთხოების სისტემის ნაწილია (European Commission, 2025: 11). ამასთან, საქართველო რატიფიცირებული აქვს ამავე ქარტიის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უშუალოდ ან საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, მიიღოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა, მათ შორის, შესაბამისი ინსტიტუტებისა და სამსახურების შექმნის გზით, ბავშვებისა და ახალგაზრდების მოვლისა და განათლების უზრუნველსაყოფად (პროგრესიული რეალიზების პრინციპი). მაგალითად, უნგრეთი სოციალური ქარტიის შესრულების ანგარიშში სკოლების მოსწავლეებისთვის განკუთვნილ უფასო სასკოლო კვების პოლიტიკას ქარტიით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებად მიიჩნევს (Government of Hungary, 2012). ამდენად, კანონპროექტის მიღება შეესაბამება საქართველოს ევროპის სოციალური ქარტიით აღებულ ვალდებულებებს და გამომდინარეობს მისი სულისკვეთებიდან.

<u>ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი.</u> საქართველოს რატიფიცირებული აქვს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომლის მე-10, მე-11 და მე-12 მუხლების ერთობლივი წაკითხვა ადგენს ბავშვის უფლებას საკვებსა და ჯანსაღ განვითარებაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, რომელიც აფასებს, რამდენად ასრულებენ სახელმწიფოები პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ბავშვის საკვებზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზების კონკრეტულ ღონისძიებებს მის სახელმძღვანელო ე.წ. ზოგად კომენტარებში არ გამოყოფს, მაგრამ სხვადასხვა დასკვნასა და შეფასებაში უფასო სასკოლო კვების პოლიტიკას საჭირო და სასურველ ინტერვენციად მიიჩნევს (Committee on Economic, Social, and Cultural Rights, 2010; OHCHR, 2024). ამდენად, კანონპროექტის მიღება შეესაბამება პაქტის საფუძველზე საქართველოს აღებულ ვალდებულებებს და გამომდინარეობს მისი სულისკვეთებიდან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ

წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სასკოლო კვების მოდელები მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტის მრავალ ქვეყანაში მოქმედებს. ბოლო წლებში განსაკუთრებით გაფართოვდა იმ ქვეყნების სია, სადაც სასკოლო კვების პროგრამები მოქმედებს. ამასთან, ახლა რამდენიმე ქვეყანაში მიმდინარეობს მუშაობა ამ პროგრამების ამოქმედების ან გაფართოებისთვის.

ქვემოთ მოცემულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საყოველთაო უფასო სასკოლო მოდელების მოკლე მიმოხილვა:

1. **ფინეთი.** ფინეთი იყო მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელმაც აამოქმედა უფასო სასკოლო კვების პროგრამა 1948 წელს. ფინეთის განათლების და კულტურის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, საჯარო სკოლის ყველა საფეხურზე ყველა მოსწავლეს შეუძლია უფასო საკვების მიღება. სასკოლო კვების პროგრამაში ძირითადად იყენებენ ტიპურ ფინური საკვებს: თევზი, ხორცი, ბოსტნეული, უცხიმო რძე, ნაღები და სხვა. (Ministry of Education and Culture Finland, 2012). 2023 წლის მონაცემებით, მილიონზე მეტი ფინელი მოსწავლე იღებს უფასო სასკოლო საკვებს (GCNF, country reports: Finland 2024: 1).

2. **შვედეთი**. შვედეთში სასკოლო კვების სახელმწიფო პროგრამების ამოქმედება 1900-იან წლებში დაიწყო, თუმცა საყოველთაო უფასო სასკოლო კვების პროგრამა მთელ ქვეყანაში 1970-იან წლებში ამოქმედდა. ხოლო, 2011 წლიდან შვედეთში კანონით განისაზღვრა სასკოლო კვებაში ნუტრიციულად დაბალანსებული საკვების გამოყენება (Swedish Food Agency: School lunches). შვედეთის სკოლებში 2023 წლის მონაცემებით, 2 მილიონზე მეტი მოსწავლე იყო ჩართული საყოველთაო უფასო სასკოლო კვების პროგრამაში (GCNF, country reports: Sweden 2024: 1)

3. **ესტონეთი**. ესტონეთში უფასო სასკოლო კვების პროგრამა ამოქმედდა 2002 წელს (GCNF, country reports: Estonia 2024:4). და 2023 წლის მონაცემებით, 233 ათასზე მეტ სკოლის მოსწავლეს უზრუნველყოფდა სადილით (GCNF, country reports: Estonia 2024:1). ესტონეთის კვების პროგრამაში ძირითადად გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქტები ადგილობრივი ფერმებიდან: რძე, კვერცხი, თევზი, ხორცი, ხილი და სხვა (GCNF, country reports: Estonia, 2024:2). 2025 წლიდან ტალინის მუნიციპალიტეტში კიდევ უფრო გაფართოვდა სასკოლო კვების პროგრამა და სადილს, დაემატა სასკოლო საუზმის კომპონენტიც.

4. **ლატვია**. ლატვიაში სასკოლო კვების პროგრამა 2008 წელს ამოქმედდა (GCNF, country reports: Latvia 2024:4). ამჟამად ყველა 10 წლამდე ასაკის მოსწავლე ჩართულია უფასო სასკოლო კვების პროგრამაში. 10 წელზე უფროსი ასაკის მოსწავლეების ჩართულობა დამოკიდებულია მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილებებზე, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში შენარჩუნებულია უნივერსალური მიდგომა, ზოგიერთ შემთხვევაში კი მოსწავლეებისთვის დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან (European Commission, 2025: 14). 2023 წლის მონაცემებით სასკოლო საკვებს იღებს 276 ათასზე მეტი სკოლის მოსწავლე. (GCNF, country reports: Latvia 2024:1).

5. **ლიტვა**. ლიტვაში დაწყებითი კლასების ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია უფასო საკვებით. შემდეგ კი მოსწავლეების საკვებით უზრუნველყოფა კი ხდება მიზნობრივად, ოჯახური შემოსავლების გათვალისწინებით (European Commission, 2025: 14). 2023 წლის მონაცემებით სასკოლო კვებას იღებდა 250 ათასზე მეტი მოსწავლე. (GCNF, country reports: Lithuania 2024: 1). ლიტვის სასკოლო კვების პროგრამა ბოლო წლების განმავლობაში თანდათან იცვლება მიზნობრივიდან უნივერსალურისკენ: 2020 წლიდან სკოლამდელი და პირველი კლასის მოსწავლეებისთვის შემოიღეს უნივერსალური უფასო კვება, 2021 წელს ამ უნივერსალურ

პროგრამას დაემატნენ მე-2 კლასის მოსწავლეებიც. (GCNF, country reports: Lithuania, 2024: 3).

6. **ლუქსემბურგი**. ლუქსემბურგში საყოველთაო უფასო სასკოლო კვების პროგრამა 2022 წელს ამოქმედდა (Schnuer, 2022). 2023 წლის მონაცემებით პროგრამაში მონაწილეობს 100 ათასზე მეტი სკოლის მოსწავლე (GCNF, country reports: Luxembourg 2024: 1). ლუქსემბურგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასკოლო კვების პროგრამაში ადგილობრივი პროდუქტების ხვედრითი წილის ზრდას. მთავრობის გეგმით, 2025 წელს კვების პროგრამის პროდუქტების 50% ლუქსემბურგული უნდა იყოს, ხოლო მათი 2/5 ორგანული საკვები უნდა იყოს (Heindrichs, 2022).

7. **ხორვატია**. 2022 წელს ხორვატიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, მიზნობრივი სასკოლო კვების პროგრამა უნივერსალურით ჩაენაცვლებინა (Zrnić, 2023). შესაბამისად, 2023 წლიდან ხორვატიის სკოლებში 1-დან მე-8 კლასის ჩათვლით მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან უფასო სასკოლო კვებით (N1INFO 2022). სახელმწიფოს გეგმის თანახმად, 2027 წლისთვის უფასო, ჯანსაღი საკვებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა სკოლის მოსწავლე (Zrnić, 2023).

ევროკავშირის წევრი ბალტიისპირული ქვეყნების გარდა, პოსტ საბჭოთა სივრცის სხვა რამდენიმე ქვეყანაშიც მოქმედებს უფასო სასკოლო კვების პროგრამები.

1. **რუსეთი**. 2023 სასწავლო წლიდან რუსეთის ფედერაციაში დაწყებითი კლასების ყველა მოსწავლისთვის ამოქმედდა უფასო სასკოლო კვების პროგრამა. ეს პროგრამა მოიცავს დაახლოებით 7.7 მილიონ მოსწავლეს (AK&M, 2022).

2. **სომხეთი**. 2023 წლის იანვრიდან, სომხეთის 10 რეგიონის 1075 სკოლაში დაწყებითი კლასების (1-4) მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია უფასო სასკოლო კვება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით. სომხეთის განათლების სამინისტროს ცნობით, მიმდინარეობს სამუშაოები, რათა გაიზარდოს პროგრამაში ჩართული სკოლების და ბავშვების რაოდენობა (Ministry of Education, Science, Culture and Sports of Armenia, 2024). სომხეთში გაეროს ეგიდით 2010 წლიდან მოქმედებს სასკოლო კვების პროგრამა, ხოლო 2017 წლიდან დაიწყო ამ პროგრამის ეტაპობრივად სახელმწიფოსთვის გადაბარება. 2023 წლის მონაცემებით უფასო სასკოლო კვების პროგრამაში ჩართულია 100 ათასზე მეტი მოსწავლე (World Food Program: 2023).

უფასო სასკოლო კვების მასშტაბური პროგრამები მოქმედებს ევროპის კონტინენტს მიღმაც, რამდენიმე ქვეყანაში.

1. **ბრაზილია**. ეროვნული სასკოლო კვების პროგრამა სათავეს იღებს 1955 წლიდან. პროგრამა მუშაობს ცენტრალური, რეგიონალური და მუნიციპალური ხელისუფლებების თანამშრომლობით და მოიცავს ყველა მოსწავლეს. პროგრამა ორიენტირებულია საკვების შემენაზე საოჯახო ფერმერული მეურნეობებისგან (GCNF, country reports: Brazil, 2024:4). 2022 სასწავლო წლის მონაცემებით, ბრაზილიაში უფასო სასკოლო საკვებს იღებდა 35 მილიონზე მეტი სკოლის მოსწავლე (GCNF, country reports: Brazil, 2024:1).

2. **აშშ**. განათლების სფეროში ამერიკის სხვადასხვა შტატების განსხვავებული პოლიტიკის გამო, აშშ-ში სასკოლო კვებასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა არ არსებობს. თუმცა 2022-2023 შეიმჩნევა ტენდენცია, რომ უფრო და უფრო მეტი შტატი ირჩევს უნივერსალური უფასო სასკოლო კვების პროგრამის ამოქმედებას ყველა მოსწავლისთვის. ამჟამად ასეთი უნივერსალური პროგრამები მოქმედებს 8 შტატში - მინესოტა, ნიუ მექსიკო, კოლორადო, ვერმონტი, მიჩიგანი, მასაჩუსეტსი, კალიფორნია და მეინი. ამ შტატებში უზრუნველყოფენ სასკოლო საუზმის და სადილის მიწოდებას ყველა მოსწავლისთვის (Karnovski, 2023). დამატებით 20-ზე მეტი შტატის საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარეობს მსჯელობა უნივერსალური სასკოლო კვების ამოქმედების შესახებ (Sheldon, 2024).

3. **სამხრეთ კორეა.** სასკოლო კვების ამოქმედება თავდაპირველად დაიწყო კორეის ომის შემდგომი საკვების დეფიციტის გამო 1953 წელს საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით. თუმცა პროგრამა თანდათან გაფართოვდა და 2021 წლიდან ჩამოყალიბდა როგორც საჯარო დაფინანსებით მოქმედი უნივერსალური სასკოლო კვების პროგრამა, რომელიც მოიცავს სამხრეთ კორეის დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურის ყველა მოსწავლეს. სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები ჩართულები არიან სასკოლო კვების ორგანიზების ყველა ჯაჭვში: ადგილობრივ ფერმერებთან მოლაპარაკებებში, საკვების შენახვასა თუ სასადილოებში მომზადების ორგანიზებაში. სკოლებში დასაქმებულია ნუტრიციოლოგი, რომელიც ზრუნავს ჯანსაღი საკვები რაციონის მომზადებაზე. (Kim Y. Yoon J., Yoon S, 2025).

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორები არიან: აკაკი ჩიქობავა, ანა კამლაძე, გიორგი ქართველიშვილი, გიორგი ხასაია, ეკატერინე დანელია, ვახტანგ ნაცვლიშვილი, თათია ვერულაშვილი, ინა ჩარკვიანი, კონსტანტინე ჩაჩიბაია.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს არანაკლებ 25 000 ამომრჩეველი, საქართველოს კონსტიტუციის 45-ე და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 123-ე მუხლის შესაბამისად.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

05867486640326

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N260553711

რეგისტრაციის თარიღი

30.04.2026 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე გვანცელაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ა
ტელეფონი: 2 23-07-87

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდაექვსი წლის ოცდაათ აპრილს, მე, ნოტარიუს ეკატერინე გვანცელაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №39 „ა", პირველი სართული, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **ეკატერინე დანელია (დაბადებული [redacted] წ., მარტვილი, პირადი [redacted] პასპორტის N [redacted]**, რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება **შვეიცარიაში** და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში შეადგინოს მინდობილობა, რომელიც დადასტურდება სანოტარო წესით, მე დავადგინე სანოტარო აქტის მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ეკატერინე დანელია (დაბადებული [redacted] წ., [redacted] პირადი [redacted] პასპორტის N [redacted])** დამიკავშირდა.

სანოტარო აქტის დადასტურებას ესწრებოდნენ: **კონსტანტინე ჩაჩიბაია (დაბადებული [redacted] წ., ქუთაისი, პირადი [redacted])**, როგორც მიმნდობის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და **აკაკი ჩიქობავა (დაბადებული [redacted] წ., [redacted] პირადი [redacted]** როგორც მოწმე.

მე, ნოტარიუსმა ეკატერინე გვანცელაძემ სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (მოწმის ჩათვლით) გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. მოწმემ და მიმნდობმა განაცხადეს, რომ არ არსებობს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები.

ვადასტურებ, რომ სანოტარო აქტის მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა სანოტარო აქტის მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო აქტის შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც მიმნდობს ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით წაეკითხა შეთავაზებული ტექსტი

მინდობილობა

მე, **ეკატერინე დანელია** (შემდგომში "მარწმუნებელი") ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ **თათია ვერულაშვილს (დაბადებული [redacted] წ., [redacted] პირადი [redacted]** (შემდგომში „რწმუნებული") მასზედ, რომ იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. ჩემი სახელით წარადგინოს კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში და ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება კანონპროექტის რეგისტრაციისთვის.

მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა კანონპროექტის დასარეგისტრირებლად ყველა საჭირო პროცედურაში, მოაწეროს ჩემი სახელით განცხადებაზე, განაცხადზე, კანონპროექტზე და სხვა საჭირო დოკუმენტზე და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ საჭირო იქნება ზ/აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ერთი თვის ვადით.

წინამდებარე **მინდობილობის** ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა ეკატერინე გვანცელაძემ რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე მარწმუნებელს, რომელმაც დამიდასტურა, რომ **მინდობილობის** ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ **მინდობილობის** გაცემისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად რწმუნებულების ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **კონსტანტინე ჩაჩიბაიას.**

მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ე. გვანცელაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მინდობილ პირს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 60 (სამოცი) ლარი + დღგ 10.8 (ათი ლარი და ოთხმოცი თეთრი) და ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საზღაური 5 (ხუთი) ლარი, თანახმად, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილების 32-ე, 39-ე და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლებისა.

ხელმომწერი პირი კონსტანტინე ჩაჩიბაია

მოწმე: აკაკი ჩიქობავა

ნოტარიუსი /ეკატერინე გვანცელაძე/